ენობრივი თამაში-წინადადების წყობა

Mit der Zeit gehen

ინსტრუქცია პედაგოგებისთვის:

დაწერეთ მარტივი წინადადება დაფაზე. მაგ. *Silke kocht Kaffee.* შემდეგ აჩვენეთ მოსწავლეებს ბარათი, რომელზეც დატანებული იქნება დროის აღმნიშვნელი სიტყვა. მაგ.gestern, um 14 Uhr. მოსწავლეებმა შესაბამისად უნდა შეადგინონ წინადადება.

მაგ. თუ ბარათზე წერია „**gestern**“ წინადადება იქნება „Silke hat **gestern** Kaffee gekocht“, თუ ბარათზ ვკითხულობთ „**um 14 Uhr**“ წინადადება იქნება „**Um 14 Uhr** kocht Silke Kaffee“.

მას შემდეგ რაც საწყისი წინადადება ხუთჯერ იქნება გადასხვაფერებული, მასწავლებელი დაფაზე წერს ახალ წინადადებას(წინადადებების სირთულე შესაძლოა მოარგოთ სამიზნე ჯგუფის ენის ფლობის დონეს) რომელიც ისევ იცვლება ბარათების მიხედვით.

Silke kocht Kaffee. *Gestern hat Silke Kaffee gekocht.* *Um 14 Uhr kocht Silke Kaffee*

თემა/მიზანი:

Satzstellung/წინადადების წყობა

ორგანიზების ფორმა:

ფორუმი/Plenum

სამუშაო რესურსი:

ბარათები

მომზადება:

წინასწარ უნდა მომზადდეს ბარათები დროის აღმნიშვნელი სიტყვებით, მაგ. Gestern, nächsten Dienstag, um 14 Uhr etc.

ხანგრძლივობა:

5-10 წუთი

ენის ფლობის დონე:

ნებისმიერი (წინადადებების სირთულე შეიცვლება შესაბამისად)